ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №11

20 მაისი 2022 წელი

12:00 საათი

ა/წ 20 მაისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. სოფიო ჯაფარიძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ვახტან სურგულაძე;
7. მამუკა გუგეშაშვილი;

მოწვეული პირები:

ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს დირექტორი დავით დოლიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს საქმიანობის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს ასევე წარუდგინა

მოწვეული სტუმარი ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს დირექტორი დავით დოლიძე და სიტყვა გადასცა.

დავით დოლიძემ ისაუბრა ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ფუნქციებზე და გაწეულ საქმინობაზე, კერძოდ: ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტო შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 მარტის N20.244.321 განკარგულების საფუძველზე. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- ბავშვთა უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება:
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღრა;
- ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;
- სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა;
- დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, სტატისტიკის წარმოება;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- კომპეტენციის ფარგლებში, მავნე ნივთიერებების ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- ბავშვის მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვების შეზღუდვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ჩატარება და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელება;
- ინტერნეტსალონში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში ინტერნეტქსელის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობის,

ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა სახის ბეჭდური მედიის, საჯარო კინოჩვენების, ჩაწერილი ფილმისა და თამაშის ინფორმაციის პროგრამირებული მატარებლებისა და არამომგებიანი სათამაშო ელექტრომოწყობილობის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობის წესების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ჩატარება და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიბების განხორციელება;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარება, კოორდინირებისა და ადმინისტრირების უზრუუნველყოფა;
- სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიური იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების განსაზღვრა და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვა და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება;
- ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება;
- ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;
- მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სოციალური მუშაობის ჩატარება;
- საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით'' დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარება.

სააგენტოს ამოცანაა საჭიროების მქონე ბავშვებისა და ოჯახების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და შესაბამისი მხარდაჭერის დროული აღმოჩენა საჭიროებისა და ზიანის რისკის გამწვავების თავიდან ასაცილებლად. (იდენტიფიცირება ხდება თითოეულ ოჯახში ვიზიტით, მომართვის ან გადმომისამართების საფუძველზე თითოეული ბავშვის სკრინინგით).

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდამჭერი პროგრამების გაცნობის მიზნით 2021 წელს შეხვედრები განხორციელდა თბილისის 184 ბაგა-ბაღის დირექტორთან.

შესაბამისი მოდულით გადამზადების, გამოცდების ჩაბარებისა და პრაქტიკული სამუშაოების გავლის შემდეგ 2020 წლის 1 სექტემბრიდან სააგენტოში დასაქმდა 116 სოციალური მუშაკი, რომლებიც ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს (ამ ეტაპზე 114).

სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები, რომლებიც ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, გადამზადდნენ, საერთაშორისო ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენ საქართველოს" პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგის" მომზადებული მოდულის მიხედვით, მასწავლებლის სახლისა და ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მიერ. გაირეს პრაქტიკული სამუშაოები სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვრა 30 სამოქმედო უბანი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 ნოემბრის N20.1409.1737 განკარგულების საფუძველზე, ახალი კორონა ვირუსით (Covid – 19) გამოწვეული ეპიდემიური ვითარების გამო ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს თანამშრომლები, 2020 წლის 12 ოქტომბრიდან 2022 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე ახორციელებდა ვირუსით ინფიცირებული პირებისა და მათი სავარაუდო კონტაქტების დადგენას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევისა და იზოლაციის/კარანტინის წესების გაცნობის მიზნით.

2020 წლის 12 ოქტომბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე თბილისში გახსნილი იყო 3 ქოლცენტრი, სადაც გადანაწილებულნი იყვნენ სააგენტოს თანამშრომლების 95 %. 2022 წლის ივლისამდე 1 ქოლცენტრი და თებერვლის შუა რიცხვებამდე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდნენ დისტანციურად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ ვერ მოხდა დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულება, თუმცა 2020-2022 წლის მონაცემებით სოციალური მუშაკების მიერ მოხდა 146 210 ოჯახში ვიზიტი და სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, საიდანაც 17 518 ოჯახში საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა 30 091 ბავშვის სკრინინგი. განხორციელებული ვიზიტებიდან, არასრულწლოვანი არ იმყოფება 62 774 ოჯახში,

თბილისში რეგისტრაცია არ აქვთ 6 033 ოჯახს, არ ცხოვრობენ 15 661 ბინაში, სოციალურ მუშაკებს არ დახვდათ სახლში 33 266 ოჯახი, 10 958 ოჯახთან ვერ მოხდა კომუნიკაციის სრულყოფილი დამყარება.

ჩატარებული სკრინინგის მიერ 17 საქმეში გამოიკვეთა ფსიქოლოგის ჩართულობის საჭიროება და 14 საქმე დახმარების აღმოჩენის კუთხით კომპეტენციის ფარგლებში გადაიგზავნა შესაბამის გამგეობაში (მოხდა შესაბამისი დახმარებების გაწევა - საწოლის შეძენა, სახურავის გადახურვისთვის საჭირო თანხის გაცემა და ა.შ). სოციალური მუშაკების კონსულტაციის საფუძველზე მოხდა 180-მდე ოჯახის გადამისამრთება რაიონულ გამგეობაში სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გადამისამართდა 5 და მათგან გადმომისამრთდა 25 შემთხვევა.

ორგანიზაცია ბავშვთა კეთილდღეობის ლიგამ, ბავშვის უფლებათა კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მუნიციპალური სოციალური მუშაკების კანდიდატთა მხარდაჭერისა და გაძლიერებისთვის ჩაატარა 4 ტრენინგი.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, ჩატარდა 2 ტრენინგი ბავშვზე ძალადობის და უგულებელყოფის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების თემაზე.

სააგენტოსა და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, 500-მდე ოჯახმა მიიღო საახალწლო საჩუქრები (საკვები, სათამაშოები, ტანსაცმელი, წიგნები).

სააგენტოს უფროსმა დავით დოლიძემ ასევე აღნიშნა, რომ მოსახლეობის ნაწილი უარს ამბობს სოციალურ მუშაკებთან კომუნიკიაციაზე, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებით არის გამოწვეული.

კომისიის წევრმა სოფიო ჯაფარიძემ აღნიშნა რომ, ოჯახებში სოციალური მუშაკების ვიზიტი კიდევ უფრო გაამძაფრებს სტიგმას, ამიტომ მედიის ჩართულობა მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდისთვის.

მომხსენებლის ინფორმაციით სოციალური მუშაკი დღეში დაახლოებით 70-მდე ოჯახს აკითხავს ინტერვიუსთვის თუმცა მათგან 30% უარს ამბობს კომუნიკაციაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი დაინტერესდა სოციალური მუშაკის ოჯახში ინტერვიუს ხანგრძლივობით.

კომისიის წევრმა ლევან აბაშიძემ მოხსენებელს ჰკითხა, რამდენ ხანში ხდება განმეორებითი ვიზიტი იმ ოჯახთან, რომელთანაც პირველ ჯერზე ვერ მოხერხდა კომუნიკაცია.

კომისიის წევრი მამუკა გუგეშაშვილმა იკითხა თუ რა ქმედებები განხორციელდა საჭიროების მქონე ოჯახში ვიზიტის შემდეგ მათი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სააგენტოს დირექტორმა პასუხის გასცა კომისიის სხდომაზე დამსწრეთა მიერ დასმულ კითხვებს და განმარტა, რომ სოციალური მუშაკის მხრიდან ინტერვიუ საშუალოდ გრძელდება 1 საათი ხოლო საჭიროების მქონე ოჯახებში ვიზიტის შემდეგ სააგენტომ არაერთხელ უშუამდგომლა აღნიშნულ ოჯახებს, შესაბამის სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში, რის საფუძველზეც მათ გაეწიათ შესაბამისი სოციალური დახმარება (შეძენილი იქნა პირველადი საჭიროების ნივთები და ასევე საახალწლოდ 500 მდე ოჯახს გადაეცა საჩუქრები).

ვახტანგ სურგულაძე დაინტერესდა სააგენტოს წლიური ბიუჯეტის რაოდენობით. დავით დოლიძის ინფორმაციით სააგენტოს ბიუჯეტი 3 მილიონ ლარამდეა თუმცა იგეგმება როგორც ბიუჯეტის, ისე სოციალური მუშაკების რიცხოვნობის ზრდა. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს სრულყოფილი მუშაობისთვის აუცილებელად სჭირდება ფინანსების გაზრდა. თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა პანდემიის გათვალისწინებით ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სააგენტოს რესურსი არ აღმოჩნა საკმარისი კონკრეტული საჭიროების დასაკმაყოფილებლად და როგორია ბავშვზე ძალადობის სტატისტიკა.

დავით დოლიძის ინფორმაციის კოვიდ პანდემიიდან და რეგულაციებიდან გამომდინარე სააგენტო აქტიურად ახორციელებდა საქმიანობას 5 თვის განმავლობაში, ამ პერიოდში იდენტიფიცირებული იქნა ბავშვზე ძალადობის 30-მდე შემთხვევა

რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადამისამართდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

ქ.თბილისის მუციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებმა მოისმინეს ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ანგარიში მათმა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე